

კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატბიანი გაზეთი, ბაგოდის ქოველ კვირა დღეს.

№ 39.

სამბთეობარი 18, 1894 წ.

№ 39.

შინაარსი: ქუთაისის სემენარია და ქუთაისის ციხის ნანგრევები. — ქუთაისის ძველი ციხე, ღვესი ქართველიშვილისა. — საურადღებო ამაგები. — შოთაშა, ლექსი დუტე შვგრელისა. — ჩემი თავ-გადასაკალი აკაკისა. — გინ უნდა გამართოს სადღიო სალოვანისა. — შეცუველი მანქანა. — ბნის იაკობ სიმონიძეს, ღია წერილი გ. დოდაშვილისა. — შეყოლოგი: პეტრე გუგუს ქევაძეა — კრიტიკა: ქართველი გლეხის შვილი ზომელელისა — ქუთათელის სიზმარი (ისტორიული ოცნება). — განცხადებანი.

რედაქცია „კვალის“ და „ჯეჯილის“ 18 სექტემბერიდან ვადავა არტილე-რიის ქუჩასე კიონიუსის ზირდანი, კოლო-ვინის ზროსნექთან, თამაშოვის სხლში.

დაიბეჭდა და იყიდება ზ. გრიჭუროვის წიგნთ-საცემში საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთ-ქმისა ნახატბით შედგენილი გ. იოსელიანის მიერ.

ქუთაისის სემენარია და ქუთაისის ციხის ნანგრევები

„კვალის“ პრემია-ჯილდო 1894 წლისა — დიდი სურათი **თამარ და დივლიის** სამეფო ცახსაყემელში დაბატული ფერადი წამლეობით — უკვე გაიგზავნა საზღვარ-გარეთ და დაუ-რიგდება წლის ბოლოს მხილოდ იმ ხელის მომწერლებს, რომელ-თაც წლის ფული სრულიად ექნე-ბათ შემოტანილი.



ოგორც მოგხსენებთ, ქუთაისის ქალაქში უნდა აშენდეს სასულიერო სემენარიისათვის სახლი, რომლის ასაშენებლად ჯერ-ჯერო-ბით ადგილი არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ ყო-ვლად სამღვდლო გაბრევილი და უმრავლესობა სა-მღვდლოებისა (იმერეთის სამღვდლოება) კი გა-დაწყვეტით ამოიბს ბაგრატის ტაძრის გვერდით ძვე-ლი ციხის ნანგრევას, იმ გორის გადასწორებას და იმაზე სემენარიის აშენებას; აქ საბლერი რომ იყო, იმან ეს ადგილი დაათვალიერა და მოიწონა. ახლა, ეინ იცის, სად და რომელ მხარეს დადგმენ სემენარიას. სამეგრელოს და გურიის სამღვდლოებას, როგორც ხმა ისმის, დაბლა ბაზარში აქეთ სემენარიის და-დგმის სურვილი, აგრეთვე მოქალაქეთაც. ეს კი-თხვა, რასაკვირველია, სამღვდლოების (ორივე ება-

რჭიის) კრების დროს უნდა გადაწყდეს, რომელიც მოხდება ამ სექტემბრის 27 რიცხეს. როგორც ვიცით, ეს ციხეც, ისე როგორც სხვა ძველი ნაშთები, იმ არხეოლოგიურ ნაშთებს ეკუთვნის, რომელზედაც გამოცა უმაღლესი ბძანება 1889 წელს ძველი ისტორიული ნანგრევების ხელშეუხებლობაზე. თვით ადმინისტრაციისა და სასულიერო მთავრობის მოვალეობა დაიფარონ ეს ნანგრევები კაცის ხელისაგან! ჩვენ არ გეჯერა, რომ ყოველად სამღვდლომ არ იცოდეს ამ უმაღლესი ბძანების მწამენლობა. აქ კერძო მთავრობის წარმომადგენლის სურვილი არაფერს შეუშია, ყველაზე უპარველესად უნდა დაცულ იქნას უმაღლესი ბძანება. მართლაც და რაღა მაინცა და მაინც ციხე უნდათ დაანგრეონ? ნუთუ მეტი ადგილი არ იშოვება ამ გორაზე? არის კიდევ ბაგრატიის ტაძრის გვერდზე შენეიერი ადგილი თავისუფალი, რომელზედაც არაფერ არ სახლობს, რომელიც ღოღაბერიძეს ეკუთვნის. ეს ადგილი არის ერთ ქცევაზე მეტი და ამის ნახეარო, აკერ ერთი თვეა მას აქეთ, ეალში აწერილია 300 მანეთად, იგი ბვერად უფრო ია-

ვად დაჯდება; სამასად კი არა, ექვსას მანეთათაც რომ იყოს ეს ადგილი, იმისი ყიდა, უფრო ხელ-საყრელი იქნება, ვიდრე ძველის ძველი ციხის კედლების დანგრევა, რომელსაც ვერც ათას მანეთად მოარჩება კაცი. ბაგრატიის ტაძარსა და ღოღაბერიძის ადგილშუა სულ ათი საყენი იქნება ჩრდილოეთის მხრით. ბვერი ამ ადგილს კიდევ ასახელებს. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ დაბლა ბაზარში სჯობიაო, მაგრამ დაბლა შეუძლებელია, იმისთვის, რომ საბლერს ეს გორა ისე მოეწონა მაშინ იქ მყოფობის დროს, რომ დღეს რექტორმა თქვა (ინსპექტორია, მარა აქ რექტორს უძახიან): თუ გორაზე არ დავნიშნეთ ადგილი სემენარის ასაშენებლადო, სინოდი არ დავეიმტიცეხსო, როგორც საბლერისაგან ვიცო. როცა საბლერმა აქ ციხე დათვლიერა და აქედან წაიდა, ებისკოპოსმა თბილისიდან არხიტექტორი დაიბარა სემენარის გვემის შესადგენად (ციხეზე) და შედგენილი გვემა ამ ერთი კვირის წინ ჩამოუყიდა.

ქუთაისის ძველი ციხე

(გუგუნი იმერეთის სამღვდლოებას)



აღლა ღმერთია მოწამე,
დაბლა თქვენცა ხართ მნახელი,
რომ ეგ ციხეა ქართველთა
ღიდების გამომსახველი.

—
აქ ბვერჯელ ჩვენთა წინაპართ
გადაუხდიათ ომები,
გულთა შემზარი, ყურთათვის
საზიზღარ-გასაკონები.

—
ათასჯერ ქართველთა სისხლი
აქ კლდებზე გადათაყულა,
მტერი ერთს ასი უზოცავს,
ლაჩრობით არ დახვეულა.

—
ამით დაუცავს საჯული და
სარწმუნოება, ერობა,

სახელი გმირთა-გმირობის
შესადარ-შესაფერობა.

—
ჩამდენს გმირს მამულის შეილსა
აქ სული დაუღვევია,
თავ-განწირულსა სიკედილის
ფიალა დაუღვევია.

—
აქ, კენჭს ვერ ნახავთ ისეთს, რომ
სისხლი არ ეცხოს ქართველის,
ჩვენი სჯულის და ერობის
შეურყვევლად დამცველის.

—
მით მიხანს წმინდა ნაწილად
ყველა ქვა ამის კედლების,
შიშის დროს ჩვენთა წინაპართ
შემაფარ-შემაცედლების.

—
თვალწინ მეხატის ამითი
უნსოვარი დრო, წარსული,
აქ არის ძველი ღიდება
შეურყვევლად დაცული.

ქირად მიჩნს ჯფრო სიკვდილად
ამისი განადგურება,
შვილები ცულათ გვახსენებს,
დაგვეგობს და დაგვერღურება.

სჯობს თვალწინ გვეკონდეს დიდ ნაშთი
ღიად დროს წარმოსადგენად,
თორემ მოვა დრო, ვინანებთ,
დაგვერება გულის სატკენად.

ქარაველს შვილი

ქეთისი, 6 ნენკნისთვეს.

საყურადღებო ამბები

მგ. ნინოშვილის ბიძაშვილის აღსაზრდელი
ფული აქამდის იყო რედაქციაში 124 მან.
ამას მიგმატა 3 მან., შემოაწირული ცხაკაი-
საგან, 1 მან. სამსონ კილაძისაგან, 5 მან. კნ. ნინო
ს. გურიელისაგან, სულ გახდა 133 მანეთი.

* *

სოსკუმის ოლქი და განსაკუთრებით სამურზა-
ყანო, ყველას მოგვხსენებთ, როგორი მდიდარია
ბუნებით. იშვიათად თუ შეხვდებით სადმე საქარ-
თველოს სხვა კუთხეს, რომელიც წარმოადგენს
ისეთს უოველგვარ შემყულ ბუნებასა, როგორც აქ.
მაჟურ მიწის სინოაყიერეს ადამიანი განციფერებაში
მოკაყს. მაგრამ აქაური მცხოვრებნი, როგორც გო-
ნებრივად, აგრეთვე ნითიერად ბეერად დაბლა დგა-
ნან, ვიდრე ქართლ-კახეთ-იმერეთ-გურია-სამეგრელო-
სანი. მიზეზათ, ერთი მხრით, ის მიზანია, რომ აქ
საზოგადოების ნამდვილი გულ-შემტკიცარი პირები
ძალიან ნაკლებად გეყვს. სოხუმის ოლქის ინტელი-
გენციას შეადგენს სახელმწიფოს სხვა-და-სხვა მოხე-
ლეები, რომელთაც არც დრო აქვთ და ისინი
არც ღიდათ იწუნებენ თვის ამით. ისეთი საქველ-
მოქმედო დაწესებულებანი, რომელნიც ზრუნავდენ
მეურნეობისათვის, ან განათლებისათვის აქ არ არის.
ქარგი მასწავლებელ-ც აქ იშვიათია, და თუ არის,
ისიც ბეერს არაფერს აკეთებს. ამ ბოლო დროს აქ
ბაზრულდენ „მოზრდისტები“, რომელნიც აერცე-
ლებენ, ვითომ სამეგრელო და აფხაზეთი ძმებია არიან
და არაერთარი კვეშირი არა აქვთ საქართველოსთა-
ნო. ერთი მათგანი გაიძახის „მოზრდიას მე ვჯობი-
ვარო, —ნამდვილი ძველდრონი მეგრული ანბანი მო-
ვიგონე და ვგზავნი დასაბეჭდათო. ახლა თურმე
ციდილობს ოაზშირეში გადმოვიდეს მასწავლებლად
და გააბენიეროს ოაზშირელები „მოძბანებითა თეი-
სითა“.

* *

ოხურკეთა. სწორეთ ხუთი წელიწადი იქნება

მას აქვთ, რაც აქ განვიძახებთ თვით-მართველობის
დაარსება. დღემდის ჩენნი ქალაქის ბედი იყო ქა-
ლაქის ორი დეპუტატის და ადმინისტრაციის ხელში,
და იმ წლიდანვე მოკიდებული ამ საქმეზე მიწერ-
მოწერა არ შეწყვეტილა ლუბერნატორთან. ლუბერნა-
ტორი თანხმა იყო, თუ კი ქალაქს იმდემი ზედმე-
ტი შემოსავალი ექნებოდა, რომ თვითმართველო-
ბის ხარჯსაც ეყოფოდა და ცოტა კიდევ დარჩებოდა,
მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ ქალაქის შემო-
სავლის ისეთი ხერგელები ჰქონია და იმ გვარად ყო-
ფილა ქალაქის შემოსავლის საქმე დაყენებული გა-
სულ წლებში, რომ არა თუ თვით-მართველობის
შესანანი ხარჯი, არამედ ქალაქზე რაც იხარჯებოდა,
იმაშიაც ვალი ედებოდა ქალაქს. ოხურკეთზე ბეერ-
ჯერ ყოფილა დაწერილი: „ოხურკეთი, როგორც
მაზრის ქალაქი, თუმცა ჩიკავოს ხნის არის, მაგრამ
ძალიანს კედის არიყოს, არც განს მათულობს
არც სიგრძესა“. მართლაც, ოხურკეთი ავერ თი-
თქმის სამოცი წლის ქალაქია. ქალაქს საკუთარი
ადგილიც კარგა ბლომათ ჰქონია და არც შემოსავალ
წყაროს ყოფილა მოკლებული. ევრც იმას ვიტყვით,
რომ ქალაქს რამე შესამწვევი მოვლენოდეს საკუთარი
ფულით, გარდა იმ რამდენიმე ფარანისა (რომელნიც
ძლიე-ძლიეობით ბჭუტავენ), ორიოდვე „დესტერინისა“,
და ხან-და-ხან ზოგიერთ ქუჩების მოკეწვეკისა. დიად,
ამ ხარჯებისათვის ჩენენს მოთაუთ და კეთილის მლო-
მელთ გაუყიდათ ქალაქის მამულები, ბაღები და სხვა!!
ჩენნი ქალაქის ბაღი რამდენიმე დესტერინა იყო და
ახლა მხოლოდ ერთი დესტერინა ძლიეს იქნება. გაუ-
ყიდათ იმ მახსენებით, რომ ეს და ეს მამული ქა-
ლაქს არაფერ შემოსავალს არ აძლევს და პირიქით
საზარალიაო და სხვა... ამ გვარად, ვინც მოისურვებდა
და მოიფიქრებდა, ოხურკეთში მამულის შეძენა,
სანამ ქალაქის თავისუფალი მამულები არ დიდა,
ადილი იყო. ათასი მანეთის მამული სულ ადვილად
შეგეძლო 100 მანეთად შეგეძინა. მიწის გაყიდვაზე,
მართალია ფორმალურად ეპრობაც იყო დანიშნუ-
ლი, მაგრამ ამ დალოცვილ დროში „ხათრი-ხათრით“
რა არ ხერხდებდა და აქაც ხერხდებოდა... ამგვარი

მოსხენებით, როგორც ნამდვილათ ვიცით, თვითონ ერთმა მომხსენებელთაგანმაც ქალაქის მამული მეათედ ფასად ჩააგდო ხელში!.. აი, მიხეზი ქალაქის ზრდის და წარმატების დაბრკოლებისა!.. დღეს ამ ბედნიერ დღეზე დაწყებულ საქმეს, ქალაქის თვით-მართველობის დასაარსებლად, მგონია, ბოლო მოეღოს და დაარსდეს კიდევ, რადგან ბატონმა მახრის უფროსმა, კ. აღშიზიაძემ, მორიდმა ამ საქმის სისრულეში მოყვანა. სხვა მისი მოადგილეები გუბერნატორს სხვა-და-სხვა მოხსენებას წერდენ: ოზურგეთისთვის თვით-მართველობა საჭირო არ არის,* ოზურგეთის შემოსავალი თვით-მართველობას ვერ შეინახავს* და სხვა... ბნ აღშიზიაძემ დანიშნა კრება მთელი ოზურგეთის მცხოვრებისა და გამოუცქადა ამოერჩიათ შეგნებულნი და მიმხედარი კაცები. მახრის უფროსმაც და ქალაქის მცხოვრებლებმაც 12 ამორჩეულს კაცს მიანიდა ქალაქის ბედის გადაწყვეტა: საჭიროა თუ არა ოზურგეთისთვის თვით-მართველობა? აქეს ქალაქს ზედმეტი წყარო, რომ თვით-მართველობის ხარჯმა გაისტუმროს თუ არა?.. კომისიაში მართლა შევრებული და საერთო მსურველი პირები მოხვდა და, როგორც ვიცით, ამ კრებამ გადაწყვიტა, რომ ოზურგეთისათვის აუცილებელი საჭირო არის თვით-მართველობა. კომისიამ აღმოაჩინა სხვა-და-სხვა წყარო, რომლიდანაც ქალაქს ადვილად შეუძლია თვით-მართველობის ხარჯიც დაკმაყოფილოს და ქალაქის ბედიც წინ წასწიოსო და სხვა... კომისიამ ყველა ეს საქმე გასულ თვეში შემიშვედა და უმაღლეს მთავრობას წარუდგინა საზოგადო კრების დადგინება და კომისიის აზრი. დღედღობით მოელის ოზურგეთის მკვიდრი თვით-მართველობის დაარსებას. და თუ მართლა მალე მოახერხდა ეს საქმე და თუ მან წინ წასწია ჩვენი ცხოვრება, ამის მაღლობელი საკუთრად ბნ მახრის უფროსის კ. ზ. აღშიზიაძის უნდა იყოთ.

გეოგრაფი

* *

გურია. დ. ხილისთვი ძეგს ოზურგეთის მახრასში მდინარე გუბაზეულის ნაპირზე. ამ დაბას გარშემო ახვევია ჯვარქმის, ბასილეთის, ერკეთის და ასკანის საზოგადოება, რომელთაც ამ დაბაში ჩამოაკეთ თავიანთი ნაწარმოები ჭირანხული, თუთუნი, თაფლი, ლეინო და სხვა. სამაგიეროთ გააქეთ უსაჭიროების საოჯახო სამკაული, მაგრამ ხშირად ეს მდინარე ხელს უშლის ადიდების დროს მცხოვრებთ თავიანთ ნაწარმოების შემოტანას ამ დაბაში და საზოგადოთ მისვლა-მისვლას; ხილის უქონლობა ძლიერ ხელს უშლის ადგილ-მიცემობას და დიდი ხანია საზოგადოება გრძნობდა, მის გაკეთების საჭირო-

ებას; მაგრამ საშუალება ნებას არ აძლევდა, რომ საუბრელოანი ხიდი გაეკეთებინათ; საზოგადოების წყურფვლმა და მათი მუხრეალე მონაწილეობის მიღწემა გამაბედელია, მითავეზია ხილის გაკეთების საქმე ზემახსენებულ მდინარეზე: გუბერნატორისაგან მივიღეთ განკარგულება, რომელმაც დიდი შექუება აღმოუჩინა მუშების მოხმარებით აქაურ საზოგადოებას; თვით საზოგადოებამაც დიდი მუხრეალე მონაწილეობა მიიღო ფულის შემოწირებით და ისე დახმარებით. ჩვენ უკვე დაიწყეთ ქეთიკარის საუბრელოთ ხილის გაკეთება, რომელზედაც, როგორც ვეტლებს, ისე მატარებელს და ფეხით მოსიარულეს თავისუფლათ შეეძლება მისვლა-მოსვლა. გთხოვთ „კვლის“ საშუალებით უკუვლითაღვის მადლობა გამოუცხადოთ ქვემო მოყვანილ პირთ, რომელთაც გამოიღეს შეძლებისამებრ შემწეობა ფულით:

კოსტა გოგინბერიძემ — 205 მან., სიმონ და გიმიშვიტ ბერეკიაშვი — 180 მ., ბესია თედორაძემ 100 მან.

50 მანეთი:

ივანე იესეს ძემ კალანდაძემ, ევთიმე კალანდაძემ, ივლო დუმბაძემ, ილარიონ ლიპარის ძემ გოგინბერიძემ.

30 მანეთიანი:

თემურაზ კალანდაძემ, ილარიონ ლომიშვიტმა, ანტონ თედორაძემ — 25 მან.

20 მანეთიანი:

სოფრომ ლომიშვიტმა, ართემ სევერთაძემ, მღელდელმა სერაფიონ კალანდაძემ, ფერშაღმა ბესარიონ კალანდაძემ, ელიზბარ ჭანიშვილმა, ივანე ქორიძემ.

15 მანეთი:

კოსტანტინე კალანდაძემ, ლევანა ლომიშვიტმა, თედორე ლომიშვიტმა, ილიკო შარაშიძემ, ლევანო ბერეკიაშვი, კოსტა ვარდიშვილმა, სტეფანე ფოცხიშვილმა — 13 მან., ფილიპე სიხარულიძემ — 12 მან., ილარიონ სამსონის ძე კალანდაძემ — 11 მან.

10 მანეთი:

ათანას კალანდაძემ, ფილიპე ცვაჭავთაძემ, ქრისტეფორე თავბერიძემ, პანტელეონი კალანდაძემ, იოვლო ბაღრატიანი, ჯაბა კალანდაძემ კაკია კალანდაძემ, ესე კალანდაძემ, გეოგრაფი კალანდაძემ, ყარაშანი კალანდაძემ, ალექსან ბიჭიასძემ ჩოკოკიძემ, შაჰარ დანიონი სერგეი კალანდაძემ, ალექსანდრე ბერიძემ, ივანე ბერიძემ, დიანო ბეკინასძე კალანდაძემ, ელიაშვიტ თავბერიძემ, იაკობ გოკანიშვიტმა.

მგლებსეულ ჯეაშიძე — 5 მან., ნესტორ კალანდაძემ — 5 მან.

სოი გიორგის ძე ბერიძე


✓ * *

ყოველი ქართველისათვის შემპირუწუნებელი უნდა იყოს ის სურათი, რომელიც დაგვიხატა თვალწინ ერთმა დამწერთაგანმა ვაზ. „ივერიაში“ ძალათუბაში მოსახლეების შესახებ. როგორც ჩვენს მკითხველებს მოგხსენება, ეს „ძალათუბანი“ გახლავთ ტფილისის ახალმწერი რკინის გზის მახლობლად მდებარე გორაკებზე.

„სეტყმების 12 დაუფიწყარი იქნებოდა ძალათუბნის მოსახლეებისათვის... იქნებოდა დოლის ათი სათი, როცა გამოჩნდა პოლიციელები რკინის კეტებით და ცულებით ხელში... ავერ გაიხედავთ, დედაკაცი გულ-შემოყრილები გდიან და წყლით ასულიერებენ (უმეტესი ნაწილი მამაკაცებისა შინ არ იყო), იქით პატარაები ფეხშიშველი დარბიან და წვილ-ტიჩილით ყვირიან: „დედილო, სახსო გვი-

ქცევენ“, ცოტა ხანს უკან იქ, სადაც ეს ხალხი ცხოვრობდა, სულ მტვერი აღინეს, ერთიანად მიღწე-მოღწევის ყველაფერი, ისე დამტვრიეს ფიცრები, რომ შეშათაც აღარ გამოადგება. იქ, სადაც ამ სამ წელს სიცოცხლე ღუღა, იქ ახლა ნაოხარი ნასახლარები-ლა აიხს. სათანახვევარში ვაჰქრა იმდემი უბანი როცა მორჩენ, დანარჩენებსაც გამოუტყდადეს: ამ ორ დღეში თქვენვე დაანგრით თქვენი სახლები, თორემ თქვენც ეს დღე დაკადგებთ, რაც ამათო“.

ეინ არიან აქ დასახლებულნი? — მომეტებული ნაწილი ქართველებისა, იმერეთიდან და ქართლ-კახეთიდან ვარ ღმობვეწილი, რომელსაც დღიური ქირიდან რაც ვადარჩენია, იმითი დასახლებულა ამ ევრანა ადგილზე. ვგვანებ, ერთი თუთმეტეოლე ქართველი წარმომადგენელი რომ ყოლოდა ამ საწყალ ხალხს ახლანდელ ტფილისის ქალაქის საბჭოში, ეს არ დემართებოდა, მაგრამ ასეა...



მ თ კ მ ა

+ **გ** აქე გამიტყდა, ნიჩაბი ხელიდან გამომეცალა; გხედავ, თანდათან ესუსტლები და მეკარგება მე ძალა.
 † პატარა კიდეც, და ვაი, ევრც კი შევიძლებ ბრძოლასა და ჩემი ნაეი დაიწყებს უგზო-უყვალოდ ქროლასა, მშფოთავ ტალღების და ქარის სათამაშოდ იტყევა, უსკრულში ჩაიღუბება, ან კლდეზე გადაიმსხერევა!..

+ ხან ცას შეეყურებ ვედრებით, ხან აღამიანთ ეუძახი, მაგრამ ყრუ არის ზევით ცა და უგულოა ქვეშ ხალხი!
 † ჩემთვის არაეის სცაოია, თავის საქმე აქეს ყველასა: სხვა ვინ დაიხსნეს მათ, აბა, რომ მე ველოდე შეეღასა? ისიც კარგია, თუ მათში არ ურეგია იულა, რომელიც არამც თუ იხსნის, მალე დაღუბოს, ის უნდა!..

+ მთლად დაეუძლურდი, თავს ძლიეს-ღა ემაგრებ ღონე მიხილი, ვგრძნობ, დიდხანს ვეღარ გავატან, მიახლოვდება სიკვდილი!
 † ოჰ, ნუ თუ ასე უღროოდ უნდა მომეღოს მე ბოლო, ვეღარ მოვიკრებ ძალასა, რომ მწარე ხვედრს კვლავ ვებრძოლო?
 ნუ თუ საყვარელს მამულში მკედარიც ვერ დავიმარხები, ოზრად დაბლები აქ სადმე, ან თევზთა სარჩ-ღ ვაგებლები?..

ეჰ, ტყუილია, ტყუილი კენესა და მოთქმა ჩივილი; ეგებ ზოგს კიდევ აპარებს ეს ჩემი გულის ტყიფლი!
 მაგრამ მყავს კიდევ მე ერთი ანახანაგი და ერთგული, ბევრჯერ ეუწნივარ და ახლაც მას მივენდობი ბედკაული.
 იგა!.. ჩემი მერანი, ჩემთანა მყოფი მარადის; არც კლდე-ღრეს, არც წყალს, არც სიცხეს, არც აედარს ავდებს არაღ ის!

—
 აბა, ჰე, ჩემო მერანო, გააბე. ეს ზღვა საზარი,

მთლად გადალახე ეს კლდე-ორე,
გადაიარე მთა-ბარი...
შენ იცი, ჩემო ძვირფასო,
მკედარს მაინც თუ არ დამკარგავ,
ჩემს სამშობლოში ჩამიტან
და მის მიწაზე დამმარხავ!
დაე, იქ ჩემი საფლავი

ღარაჯად უდგეს მამულისა,
უძლიურსა ძალას მატებდეს
და ამხნეებდეს ჩაგრულსა!...

დღეუ მგზავლი

1894 წ.
ოქტომბ.

ჩემი თავ-გადასავალი

შემდეგ *)



ვა წლის ვიყავი, როდესაც სოფელს მომა-
შორეს და ქალაქ ქუთაისში გადამიყვანეს.
აქ თავდება ჩემი ბავშობის პირველი ხანა
ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუფიწყარი. აქიდანვე
იწყება მეორე: მტარჯავი, დამჩაგრელი და გამაუ-
კულობარებელი... მაგრამ სანამ ამ მეორე ხანაზე ვი-
ტყობდე რასმე, დაუბრუნდები ისევ ჩვენს სოფელს
და მაშინდელ ცხოვრებიდან სამინუშოდ რამდენიმე
სახასიათო შემთხვევებს გავიხსენებ. ზემოთ ვთქვი,
რომ სპარტანულად გვზღვნიდნენ-მეთქი და მართლაც,
რაც უფრო ვიზღვნიდით წლიდან-წლიაბით უფრო
და უფრო გვეტყობოდა ამგვარი აღზრდა. თითქოს
რსე აღარ გეპქცევიდნენ ყურადღებას, როგორც სულ
პატარაობისას და უფრო თავ-მინებებული ვიყავით.
ბევრჯერ გახაუხულის დამლევს, ტაობის დროს,
როდესაც ღრუდ-ებიდან გამოასული თევზები ქარა-
ენად აყვებოდნენ დიდ მდინარეებს, რომ მერე იქიდან
პატარ-პატარა დღელებში შესულსიყვენ ქვირითის და-
საყრელათ, გონჯურის პირათ, სხვებთან ერთად მეც
მთელი ღამე გამოითვია, ფაცერსაც ბევრჯერ მოე-
დგომივარ და გარეთაც ბევრჯერ ვწოლილვარ, მა-
გრამ არავის უთქვამს თუ ვგ საშიში, სახიფათო ური-
გო საქმეაო. დამისთვის დროს, რომ ძილი არავის
შამოგეპაროდა, მორიგად ზღაპრებს ამბობდნენ ბა-
ჭები: ხან შაირებს, ხან ანდაზებს, ხან გამოცანებს
და კიდევ ეს იყო, რომ ამ გვარ ადგილებსიკენ ჩვენც
მიგვიხაროდა, ბევრს აღარც კამა-ხმას დადევდნენ ჩე-
ნსას: ხან მეტსაც ეჭამდით, ხან მშოიერც ვიყავით,
ხან ასე და ხან ისე: ხან ძვირფასად მოგვითავდნენ
ხოლმე, ხან უბრალოთ; ხან ბუმბულში ვგორავდით
და ხან ხმელზე ვკოტრილობდით. თანასწორობა
არ იყო. რიგსა და წესს ეინ დადევდა? ვისაც და
კარგისც თანასწორად შეგვეძლო ატანა ამას არცა-
რას ჩვენ ვნაღვლობდით და არც უფროსები გვეყი-

თხვობდნენ. მაგრამ ეს კი იყო, რომ ცუდს არაფერს
გვაბედნიებდნენ. მაგალითად თავი რომ გავგეტება
გვეტყობდნენ: „ოი, შეგირცხეა თავი! შენხელა ბავშვა
როგორ არ უნდა იცოდეს თავის მოვლაო! გასწი,
გასწი გაიზდები და დაგაიწყებოა.“ ამგვარ სცე-
ნულგშვებით გავცისტუმრებდნენ ხოლმე. მაგრამ სხვის-
თვის რომ უსამართლოდ წიპარტი გვეკრა, არ შე-
გვარჩინდნენ და უთუოდ გადაგვახდევინებდნენ. ერთ-
ხელ ტყაბა-ტყუბი რომ შამომხმსა, მივირბინე სახა-
ბაზოს კარებთან და ხაბაზს ცხელი თარხაოული გა-
მივართვი. ჩემზე აღრე იმავე კარებს მიდგომოდა
ჩვენი წუწი წითელი ღორი და შედრუწუნებდა, მა-
გრამ ვინ გაცემდა ხმას. მე რომ დამინახა, მკადით
ხელში, ამედგენა ჭკვილ-ჭკვილით, გაემქცო, გამა-
მიდგა; წამოეკარი ქვას ფეხი და გავვარდა მიწაზე.
იმანაც იხელთა დრო, მეძგერა და ზემალლიტა
მკადი. მოვრთე ყვირილი და მივაშურე დედას. დე-
დამ მომისმინა საჩივარი, შეკრა წარბები და მითხრა:
„როგორ ამხელ სირცხვილით შე, ნაცარქქეა, შენაო?
ბაბუა შენა გარეული ტახი დიკურა ყურით და
შენ კი ერთი შინაური წუწი ღორიც ვერ მოგეგ-
რებიაო... ავიღებდი ჯოხს და დაეკარავდი თავშიო!“
პატარა ხომ აღარა ხარ: „დამდეგ თიბათეფს ექქსი
წლის გახდია“. ამ სიტყვებმა ისე შემარცხინეს, რომ
მკადიც დამაიწყდა და ტირილიც, მთელი დღე ჩე-
გუნებაზე აღარ ცყოვილვარ, მით უფრო, რომ პა-
ტარა ბიჭები და გოგონები, რომ ჩამივლიდნენ ხოლმე
გვერდს, დაცინეით წილაპარაკებდნენ, ვითომ თავის-
თვის: „ღორის წაქცეულიო...“ ამ დაცინებამ ისე
გამამწწრა და დამაფულოდა, რომ მეორე დღეს ცალ-
ხელში მკადი გავაშურე და მეორეში ჯოხი და გამ-
გებ აუარ-ჩამოაუარე გვერდით ჩემ მტერს. წართმევას
დაჩეუღმა ღორმა შამომიტია, მაგრამ მე ეაქცურულ
დაუხედი და ეხეთქე თავში ჯოხი. ჩემი მტერი აღ-
ბათ ამას არ მოელოდა, რომ შეჩერდა და შამომიბრა-
ხოტა, მაგრამ, რომ მოუნაკლევ მეორეცა და მესა-
მეც, იკადრა და გაიტკა. ახლა მე დავედევნე გავშ-
ლაღებულაო. წინ ის და უკან მე! ის მიყუყუი, რაც
შეუძლია, და მე კი რაც ძალი და ღონე მაქვს კი“

ქინას ვაყრი. ვერ წამიხვალ, შე წუწკო, შე ფრთხალ-
 თქო! იმ დროს სწორეთ ჩემი თავი პაპაჩემი
 მგვანა; შამოვარბენიე ღორს ორჯელ-სამჯელ,
 სამაახლო, საფარეშო თითონ ჩვენი სასა-
 ხლევ და აღარ მოვეშვი, სანამ საღორეში არ შე-
 მივარდა. არ იფიქროთ, რომ მე იმის მტერობ.
 მქირებოდეს და შურისძიება მდამებოდეს!
 არა, ეს ომი იმისთვის ვადიხვადე, შეეტყო
 სუყველას, რომ მე ღორის აღარ მეშინოდა.

ღორეზე ამ ძლევამოსილობამ გამაგულადა და
 ისე გამაუშინარა, რომ თუ კი ჯოხი ხელში მექნე-
 ბოდა აღარაფრის აღარ მეშინოდა. საგმირო ზღა-
 პრებმა, საეკვაცო შაირებმა და ამებმა იმდენათ გა-
 მიტაცეს თანდათან, რომ თავი გმირათ დავისახე.
 ერთხელ პატარა შინდის ხეზე გავედი, რომელიც
 ზღაპრულ ალვის ხედ წარმოვიდგინე და იქითაქეთ
 ყურება დავიწყე, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთ-
 თის ხელმწიფეების სარაიები დამეწანა, მაგრამ გალ-
 მოვარდი, გამბლა ბრეგვა მიწაზე და ზურგის ტვი-
 ეილმა მაგრძნობინა, თუ რა ზღაპრული კლეთისა
 ვარ გმირი“ ვიყავი! საკვირველია, ამ გვარი მარცხები
 ხანდახან გამომაფიზილებდენ ხოლმე, მაგრამ მერე კი
 ისევე ოცნება მერეოდა და ისევე გამანაცარქეპიავებდა
 ხოლმე. ერთ საღამოს კურდღლობიას ვთამაშობდით,
 ვისაც კარგი ხმა ქონდათ და მოყვფა შეგძლოთ, ისინი
 ვითამ შეძებრები იყენ ხოლმე, ვისაც მუხლს
 ვრჩოდათ, მწვერები, სხეები კი უფრო ზანტები: კურ-
 ძთულები და მონადირეები; კურდღელი კი მორი-
 გისი ვინმე. იმ დღეს, თუმც მძებრათაც კარგი ვი-
 ყავი, მაგრამ ზოგიერთებთან მწვერობაც მერგო. და-
 იმალა კურდღელი, აუშვით მძებრები, მოვდენ არე-
 მარეს; დასცეს კურძულებმა კიენა; წაქეზებულმა
 მძებრებმაკც ვითომ სუნი იცეს და კვლი აღდეს,
 ატეხეს ყეფა; ათი თუ თუთხმბეტი ბავში სულ
 სხვა-და-სხვა ხმაზე ყეფდა... უფროა სმენა აღარ იყო,
 მწვერებმა ყურები დაქკეიტეს და აიკოჩენ. ამ დროს
 თურმე ჩვენ ბაღში ნამდვილი კურდღელი ყოფი-

ლიყო შეპარული და გამოვარდა. ჩვენ დაგვიწყდა
 თამაშობა და გავედდენთ დიღინაპატარაიანა იმ
 კურდღელს. კურდღელს თვალი წაუხდა. ხან იქით
 ეცემოდა და ხან აქეთ, მაგრამ სუყოველიმხრიდან
 ჩვენი ორუები მეძებრები უყეფდენ და ისე აფრია
 გზა და კვალი, რომ ხიმეში გავეკეტა; მივასწარი და
 ეტაცე ხელი უკანა ფეხებში. რომ მაგრათ არ ყო-
 ფილიყო გაქედლი, რასაკვირველია, მე იმას ვერ
 დავიმარებდი, მაგრამ შინც გავაბი ყვირილი: მი-
 შევლეთ, დავიჭირე-მეთქი. მოცვიდენ სუყველა; დი-
 ლი ბიჭებიც მოვეცხმარენ და ცოცხალი მიგვარიეთ
 ბატონს. იმ დღეს ჩემი ვაჟაკობის ამბავი ძლიან
 გაითქვა და მეც სწორეთ დავრწმუნდი, რომ კურ-
 დღელს ფეხ-და-ფეხ მოაწედი და დავიჭირე-თქო. მას
 უკან ხშირათ საღამო-საღამოობით ბოხტნის ბოლოზე
 ეიდლი ხოლმე, ეგებ კიდევ გამოვარდეს კურდ-
 ლელი და დავიჭირო-მეთქი. ალბათ, ეს შემწიშნა
 დედამ, რომ ერთხელ მიმისმო და მითხრა: „შენ
 ხომ ამისთანაებში ტლიონ არა ვაყავს და ერთ-ერთი
 შინაური კურდღლები დამიჭირე, სხვისთვის მინდა გა-
 სახაუნათო“. მეც, რასაკვირველია, ვიკისრე; სა-
 ხტართან საქალებოს გვერდით საკურდღლე იყო მი-
 შენებული და იქ შინაური თეთრი კურდღლები ბუ-
 ლობდენ. დილიდან საღამომდის ვლეე ხან ერთსა და
 ხან მეორეს, მაგრამ ვერ დავიჭირე და საღამოს დე-
 დამ რომ მკითხა, თავი მითა ვიპართლე, რომ ფე-
 ხები მტკივა-თქო. დედანემმა სიცილი დაიწყო და მი-
 თხრა: „პატარა კი აღარა ხარ, როგორ ვერ მიხე-
 ვები, კურდღლის დაქერა ფეხ-და-ფეხ წენ კი არა, არა
 კაცს არ შეუძლია“. შინაური რომ ვერ დავიჭირე,
 გარეულს კურდღელს შენ როგორ დავწოდი, თუ
 უცაბედათ ხიმეში არ გავცხებელიყო“. ამ სო-
 ტყეებმა, ცოტა არ იყოს, გულში ჩამანედეს, ვი-
 გრძენი ჩემი ნაცარქეპიაობა, შემრცხვა და გავწი-
 თლდი.

აჟაკი

(შემდეგ იქნება)

ვინ უნდა გამართოს სადილი?

ბასუსი ბან ა. სიმონიძეს



ვით იაკობ სიმონიძისაგან დასახელებული,
 ვითარცა მედიატორე, ბბ. აკაკისა და იაკობს
 შორის, აღვიარებ სრულ თანხმობას იმ
 წინადადებაზე, რომელსაც ბანი იაკობი გვაძლევს:

სადილის გამართვის შესახებ მოგახსენებთ. დღეს-
 დღეობით, სამწუხაროდ არის თუ სასიამოვნოთ,
 სადილი ბანმა ი. სიმონიძემ უნდა გავვიმართოს
 თავის საკუთარ ხარჯით; და, აი, რა საუფქელით:
 პირველათ კამათობა ატყდა ერთის სიტყვის (ხმნის
 „აღვიარებ“-ის) შესახებ, და მეც ამაში ვიკისრე მე-
 დიატორობა; ხოლო ათის სიტყვის შესახებ, რომე-
 ლიც ბანმა იაკობმა წამოაყენა, საქამათოთ, მე არ
 მივისრია არაფერთარი მედიატორობა. ჯერ იმაში

გავსწორდეთ, რის შესახებაც პირველად აიძრა კითხვა, და შემდეგ, თუ ვნებავსთ, დანარჩენების შესახებაც ვიკისრებ მედიატორობას... ასე თუ ერთმანეთს ავაკიმ და ბ-ნმა სიმონიძემ შეცთომები უზნობრივს, ვფიქრობ, აკაკი ბერის რასმე გამოჩნრეკდა ბ-ნ სიმონიძის თხზულებებში, და ვინ უწყის, რამდენ ათას სიტყვას წამოაყენებდა კიდევ საკამათოთ!.. ასე კამათობა არ შეიძლება, ჯერ იმ საკითხის შესახებ გავისწორდით, რაც პირველად იყო წამოყენებული და შემდეგ სხვაშიც გავსწორდებით.

და რაკი პირველი საკამათო სატყვის („ალგაირებ*-ის“) შესახებ აკაკის სრული სიმაართე დამტკიცდა, ეთხოვთ ბ-ნს ი. სიმონიძეს—ასრულოს თავისი დაპირება, მიგვიპატიოვოს სადილათ (თანხმა ვართ, იმ ადგილას, რომელიც მან დაგვინშნა), და ჩვენ ჩვენი მხრით მოაღზენას არ მოვაკლებთ:

აკაკი შაირებით დაატკობს საზოგადოების სმენას, მე ჩანგურს დაეუკრავ და ზედ დაემღერებ ჩვენებურათ—ძველებურათ. დასასრულ ბ-ნ სიმონიძის სადღეგრძელოს ვიაზღებით და ვისურვებთ მის ზედნიერ ცხოვრებას და წარმატებას ქართული ენის საკეთილდღეოთ და ჩემს სიტყვას ასე დავასრულებ:

„ესეც ღმერთმან ადღეგრძელოს, ვის უღვივის კვლავ იმედი,

ვის ახარებს, ვის აკოცლებს ქართულ ენის კარგი ბედი,

ვინ არ ზოგოს იმისათვის თვით სიცოცხლე, თვისი მკერდი!..


გაუმარჯოს „ალგაირებ“-ს, წმინდა ქართულს აღაკერდი?“

სილოვან

მეტყველი მანქანა

წახელოვანმა ედისონმა, რომელმაც ტელეფონი გამოიგონა, ბოლოს ფონოგრაფი, ანუ მეტყველი მანქანაც შეაწყო. ამ საკვირველმა იარაღმა დიდი ცვლილება უნდა მოახდინოს კაცობრიობის განვითარებაში.

ფონოგრაფის მეშვეობით შესაძლებელი შეიქნა: 1, ბუნების ხმების განზოროცილება, ესე იგი იმათი თვალით დანახვა და ხელით შეხება, ასე ვასინჯე, ისეთი ხმისაც, რომელსაც ყურითაც ვერ შეიპყრობდა კაცი; 2, შესაძლებელი შეიქნა



ედისონი თავის ფონოგრაფით.

ამ ხმების ნიშნებით გამოხატვა, დაწერა თავის პირმშო თვისებით მიუხედავად იმისა, ხმის გამოძეკვი, ანუ გამოძლები არსება იქვე არის, თუ არა, ეს ხმები შეიძლება შენახულ იქმნას წერით და როცა გინდა, მაშინ განმეორდეს, თუნდ რომ ხმის წარმომშობი, სიტყვის წარმომთქმელი, აღარც კი

არსებობდეს ამ ქვეყნად. 3, ფონოგრაფს შეუძლია ფონოგრაფის მავირობა გაუწიოს კაცობრიობას და წერილობით საბუთებათაც შეიქნეს. 4, შესაძლებელია, ფონოგრაფები გამოარდღეს იმონდნათ, რამოდნათაც დღეს წერილობითი საბუთები გამოარდღებულნი; 5, შესაძლებელია სიმღერისა და წარმომთქმელ დიდი სიტყვების ჩაწერა არა თუ წარმომთქმელის ნებადართვით, არამედ მის ნებადართუვლად და მის გაუგებრადაც.

ასეთი საკვირველი მეტყველი მანქანის გამოგონება ფიქრებინა ედისონს ერთმა უბრალო შემთხვევამ.

ერთხელ ედისონი ტელეფონის დაკვირვებაში იყო გართული. რადესაც სატელეფონო დულუქში ჩაძახებით დაიწყო ლითონის პაწია ფიროფტმა ზგერა, მისგან ათრთოლებულმა ზედ-

დამავრებულმა ნემსმა უზნელიტა ედისონს თითხე და ისე მაკრათ, რომ სისხლი გამოადონა. ედისონს მაშინვე თავში გაუელვა ნათელმა აზრმა: ფიროფტზე დამავრებულმა ნემსმა თუ ისე მაკრათ მიჩელიტა, რომ თითის კანში გაატანა და სისხლი გამოადინაო, მაშ ყოველ ხმის ვაღება-




ზე შეიძლება ამ ნემსმა რბილ, თხელ ფურცელზე ხმის ბეგრის კვალი დაიხიოს ნაჩვევლებით და ხმის ბეგრა დაწერილობით გადმოიღოს. ამ მოსახრებას შემდეგ ფონოგრაფის შეწყობა უკვე ადვილი მოსაგონებელი იყო.

ელისონმა პირველად ძალიან მარტივი ფონოგრაფი ააწყო და შემდეგ გააუმჯობესა ისე, რომ დღეს მისი მეტყველი მანქანა, ანუ ფონოგრაფი, ზედმიწევნით მოვასმენინებს, მაგალითად, გლადსტონის, ანუ გერმანიის იმპერატორის სიტყვას, რამდენისამე წლის წინად წარმოთქმულს, მათივე ხასიათით, ლაპარაკში ხმის დაკვირვება და მათებური გამოთქმით.

ელისონმა პირველად, აი, როგორი მარტივი მეტყველი მანქანა ააწყო. იმან გააკეთა პაწია რკინის მორგევი, ვარშემო ჭახაკ-ნაირად შემოჭდობილი.

რკინის მორგვს გველი ჭახაკის ღერძი ჰქონდა ხელით სატრიალებელი. ეს ღერძი ორ პაწია რკინის ბოძების თვლებში იყო გაყვრილი; თვით ბოძის



გაუმჯობესებული ფონოგრაფი

თვლები ჭახაკზე იყო მორგებული, ისე, რომ როცა ღერძს წაღმა წაღებდა, თვით რკინის მორგევი წინ მიდიოდა, როცა უკუღმა, მაშინ უკან იწევდა. მორგვს შემოაკრა ტყეის თაბახი ისე, რომ მორგვის დაქდობილი ჭახაკული ზოლები ტყეის თაბახს დააჩნდებოდა ხოლმე. ამ ზოლებს მოუმარჯვა


ფირფიტზე დაკრული პაწია სახველური ნემსი. ფირფიტ ზემოდ დაამარკა ჩასაძახებელი ღულღუი ღულღუის ფსკერს დადაკრა დაირის ტყევი ფირფიტის მახლობლად. როცა ღულღუში ჩაძახებდა, მაშინ დაირის ტყევი ბეგრას დაიწყებდა, მისი ბეგრა ფირფიტს აძვერებდა და ფირფიტე ნემსს ამოძრავებდა, რომელიც დააჩენდა ნახველურ ნიშნებს მორგვზე შემოფარებულს ტყეის თაბახს. ამ სახით როცა ღულღუში ჩაძახებდნენ, იმე დროს მორგვის ღერძს დაატრიალებდნენ ხელით ნელ-ნელა; მორგევი წინ წამოვიდოდა და ტყეის თაბახზე ერთი-მეორეზე ზედ-მიყო-

ლით წინწყლები ეჩენდა, ნემსით დანაჩნელებები. ყოველნაირი ხმის ბეგრა ტყეის თაბახზე წინწყლების ზოლებად გადმოიღოდა. ეს წინწყლების ზოლები ზედ-მიწევნით გადმოხატებდნენ ტყეის თაბახზე ხმის ბეგრას. ამ სახით ხმა უკვე დაწერილი-დაჩნეული იყო ტყეის თაბახზე. მეგრე თუ უნდოდოდა ხელახლად იგივე ხმა ისევ გაეგონათ ტყეის თაბახზე დარჩენილი ნიშნების წყალობით, გადაატრიალებდნენ

მორგვს ჭახაკიან ღერძის საშუალებით და იმ წევრტილზედ დააყენებდნენ ნემსს, საიდანაც მან პირველ ღულღუში ჩაძახებით ბეგრა აღნიშნა და მეგრე ნელ-ნელა დაუწყებდნენ უწინდლოთ ღერძს ტრიალის და ნემსი დააწყებდა ბეგრას, რომელიც გადაეცემოდა ათრთოლებული ფირფიტის საშუალებით ღულღუის დაირას და მაყურებელს ესმოდა ისევე ის უწინდელი ჩაძახებული ხმა. ამ სისტემაზე იყო ფონოგრაფი შეწყობილი ელისონისაგან. შემდეგ მან ეს მანქანა გააუმჯობესა თექვსმეტის წლის განმავლობაში ისე, რომ დღეს

ფონოგრაფი წამდელი მეტყველი მანქანად არის გამოხდარი.

ხელის მაგივრად ალა ჭახაკიან ღერძის ატრიალებს ელექტრონული ძალა, რომელიც უფრო თანასწორად და აუჩქარებლად ამოძრავებს რკინის მორგვებს. ამ სახით ჩვენ მოგვცა ელისონმა ისეთი მანქანა, რომელიც იწახავს



ქვივე უფრო გაუმჯობესებული ფონოგრაფი ელისონისა.

წახანა, რომელიც იწახავს ხმას, ხმის თავისებურს თვისებას, ლაპარაკს და ამას ყოველსავე გადმოცემს შორი ქვეყნიდან და შთან-მომავლობისთვისაც შეიანახებს. დღეს თუ ფონოგრაფი კიდევ არ არის ყოველგან შემოღებული, ამის მიზეზი ფონოგრაფის სიძვირეა. ერთი ფონოგრაფი ღირს ასი თუმანი. მიუხილებლად მომავალში ძალიან გაიავლებდა და მაშინ შესაძლებელია წიგნებისა და ყოველნაირი

წერილობითი საბუთის მაგიერობა; გაეციწიოს. ფონოგრაფის ყურის-დასავლებათ, ზონანზე მომხუღ პაწია დადებს ყურთან მიიტანენ და მოუსმენენ.

წერილობითი საბუთის მაგიერობა; გაეციწიოს. ფონოგრაფის ყურის-დასავლებათ, ზონანზე მომხუღ პაწია დადებს ყურთან მიიტანენ და მოუსმენენ.

ბ-ნს იაკობ სიმონიძეს.

3 ატივცემული ბ-ნო სიმონიძე, თქვენი ღვაწლი საქართველოს წინაშე ბაჟშების აღზღაში ყოველ ჩვეთავანისათვის საპარადისოთ დაუფიცარი და ფასდაუდებელი დარჩება. იყავით დარჩმუნებული, რომ თუნდაც აღმოჩნდეს ისეთი პირი, რომელმაც საბუთებით დაგვანახოს კიდევ სრული უყარვისობა თქვენი სახელმძღვანელოებისა, მაინც ამით თქვენი ეკლანი გზით მონაგარი ღვაწლი არას წააგებს და თქვენს ღირსეულად მოაგებულ სახელს არა დააკლდება რა.

ხოლო ნება მოგვეკით, იქვის თვლით შეგებლოთ თქვენს მეორე გვარ მოღვაწეობას, იმ მოღვაწეობას, საცა ასე მედგრათ და თავ-გაპოდებით ნებულობთ ბრძოლას თვით ინგლისამდე.

არა, ჩვენი რა ბრალია, ბატონო, რომ ყოველი თქვენი წინადადება ახვებს თქვენს ამ ასარგვზე მოუშაადებლობას. დამერწმუნეთ, ბევრი თქვენი ისეთი საარაკო შეგებულობა დაეტოვებოდა და არ გამოვაქვეყნებ ჩვენ წერილში, რომ, სწორე მოგახსენოთ, ბევრათ უფრო საჭირო იქნებოდა მათი გადათარგმნა, ინგლისში გაგზავნა და უორდროაგებთან თხოვნის მირთმევა, რათა თქვეთვის ეწყალობათ მოწმობა შიგ ჩართვით: „აღეგვრადლოს ბ-ნ სიმონიძეს ქართული ენის წყაღება“.

აბა, ეს რასა ვაგეს?!

„ბ.ბ. უორდროაგები განიხილენ ამ საგანსა და შეგეტყობინებენ: ამ ორს კანონიერს ქართულს გიღაში რომელი უფრო მადლა დგას, რომელი უფრო დაწინაურებულია და დახლოებული უმაღლესსა ხარისხის ენებთან“.

აი, რა პროგრამით აპირებს „კვალის“ რედაქცია მუშაობას სალიტერატურო ენის შემუშავებისათვის:

- 1) ლიტერატურაში გაბატონდეს ჩვენი თანადროიანდელი სასაუბრო ენა, ნამდვილი ქართული და არა შეჩეული.
- 2) განიდევნოს ის მეხანოკური ენა რომელიც შექმნეს ზოგიერთა მწერლებმა ძვილისა და ახალი ფორმების ერთი ერთმანეთში არეით.
- 3) აშორდეს ქართულ ენას ორთოგრაფია, ანუ არ მოხდეს განსხვავება კითხვისა და წერას შორის.
- 4) განიდევნოს სიტყვებიდან ის ბგერები, რომელიც არაერთი ახალ კილოს არ აძლევს სიტყვების დედა-აზრს და ამიტომ ენისათვის გამოთქმაში შეადგენენ მარტო მეტ საწვალეებს.
- 5) გამოტოვება საზოგადოთ წინადადებიდან იმ სიტყვებისა, რომელთა აღწნიშნეული ელემენტები უკვე ზნენბს აქვთ ხოლმე ჩართული.

6) შემოკლება რთულ უღელილებისა ისე, როგორც ამას მოითხოვს ხალხის გენიოსობა (genii народа).

7) შესაძლებელია, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იხმარებოდეს რომელიმე დამახინჯებული ფორმები (პროკინციალიზმები), მაგრამ მათი შეტანასა-ზოგადოს ალიტერატურო ენაში მოუხერხებელია რადგანაც დანარჩენ კუთხეებში იხმარება უფრო კანონიერი ფორმები, ქართულ ენის ბუნება-ხასიათზე ზედგამოჭრილები.

8) სასურველია შეწყნარება და შეთვისება იმ ბუნებრივ ივერიელ ენათა სიტყვებისა, რომელნიც გაუანტულ არიან გურია-იმერეთ-სამეგრელოში, ხოლო მათ მაგიერ ქართლ-კახეთში გაბატონებულა სიტყვები: სპარსული, თათრული, სამხურთი და რუსული.

9) მიღება სალიტერატურო ენაში ზოგიერთ სიტყვებისა იმ სახით, რა სახითაც იგინი შეუმოკლებია ხალხს თავის გამოთქმაში, თუ ეს შემოკლება არ იწვევს მცნებათა არევას და სხვა ამისთანას...

ყოველი ამ ჩამოთვლილ პარაკაუს რედაქცია ერკულად განმარტებს თავის დროზე, ამასთან მკითხველუმს წარუდგენს თავის შეგებულობას ს შესახებ ზნენბში.

როგორცა ხედავთ, ბ-ნო სიმონიძე, „კვალის“ რედაქციას ამ მხრივ კიდევ ბევრი წყაღება და მუშაობა ჰქირდება, რომ მიუხალოდეს მაინც ყოველსავე იმას, რაც მას პროტარმაში უწერია. მაშასადამე იმ ენის იდეალთან ჯერ-ჯერობით „კვალი“ ბევრად დაშორებული ვახლავთ.

ახლა სასურველია, ეიცოდეთ, თუ „კვალის“ ენა იგივე ქართული ვახლავთ და ამასთან კანონიერიც, როგორც თქვენც გვემოწმობთ, მაშინ ინგლისში სათრავი რაღა დაგვიჩენია?.. თუ ქართულ ენას არ მიუღწევია მაღალ ფორმაციამდე, დამერწმუნეთ, ევრც პავლესი და ევრც სემაონის კილო მიადწეინებს მას იქამდე, აბა, გაბრწყინება მინდგაჟოვა, რომ ენებმეში დაგიკრასთ და გიჩრიათ თქვენი წადლის ასრულება სხეაც არა იყოს რა, იმ უორდროაგებს სიცილით დაბოცავთ და, შესაძლებელია, ევროპაც მასხარობით ააღაპარაყოს ჩვენზე თქვენსა საქციელში. ვასაოკარია, მე რომ ჩემი შეძლების დაგვართ ვაგვიჩრია თქვენი წერილები და გულახდით დაგვანხოთ სიყალბე ყველა თქვენი შეგებულებისა, განა ამისათვის „გარეჩრც“ გუგებები, დაბალ ხარისხის ავტორები, გაბრწყინებულნიც, ჯანყში და ბურუსში გახვეულიცა და სიბნელიდან გამომყურებელიცა? მაშ, ალბათ, ჩვენში საჭირო ყოფილა ან მარტო კებთა-კების წერა და ან სრულებით გაჭუმება. საუბრელოთ, კერძოთ მე ევრც ერთ ამ საშუალებათაგანს ევრ მიეცეკლუმბი, რადგანაც კებას ევრ ვახერხებ და გაჩუმებაც არ შემძლილა... მაგრამ ემ, რა ვაწყობა!..

სახერხება, პაპაე, ოპია.
თაეს რა არ გადაგებდომია..

† პეტრე გუგუის მე გამკია .

26 ივლისს ოქულებმა უდროოდ დაეკარგეთ ჩვენი სკოლის უფროსი მასწავლებელი პეტრე გუგუის მე გამკია. პეტრე გამკია იყო აქაური მკვიდრი მოსახლე—სამურხაყანოელი, სულ 27 წლისა. მან დაამთავრა სწავლა ყუბანის საოსტატო სემინარიაში და ორი-სამი წელიწადი იმსახურა სამსახური მასწავლებლად. ბოლოს მან აირჩია სამსახური აქ, ჩვენთან და ჩინებული მიყავდა თავის საქმე. ოქუშში, როგორც მოკვებულმა მასწავლებელი გვაქვს, რომელიც შედგება ოთხი განყოფილებისაგან და რომელსაც ინახავს მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება კავკასიაში. განსვენ-

ბულმა გაუყარა მეორე მასწავლებელს ხელი-ხელს და ორივე ერთად ცდილობდნენ, სწავლის საქმე კარგად დაეყენებიათ. ის იყო დამხმარე წევრი საზოგადოებისა და გზის მჩვენებელი. ბევრი ახლაც იმის მეოხებით აგრძელებს სწავლას საშუალ სასწავლებლებში. საცოდავი წარსულ გიორგობისთვის ვაცივდა, რომლის მიზეზით ქლექი გაუჩნდა და ასე უცრად გამოასალმა ამ წუთისაფელს. მან, საცოდავმა, ღვთის ამაზა დატოვა ცოლი და ოთხი ქალ-ვაჟი, რომელთაც არავითარი საშუალება არა აქვთ ცხოვრებისათვის. კარგი იქნება მკითხველო, განსვენებული ოჯახობას ცოტა რამე წელიწადი მიეწოდოს ჩვენსა და სადღეგრძელოდ. იყოს ხსენება შენი საუკუნოდ ძვირფასო შეუმჩნეველო მოღვაწე პეტრე.

აბაო ოქუშელი

ქართველი გლეხის-შვილი

(„ახელა“—მოთხრობა ნ. შელანასი, 1891 წ.)

შედეგო *)

შინაზი “შაქრო და იმის რჯულის ხალხი მუდამ ყოველგვარ ღონის'იებას, ყოველსა საშუალებას სხარობს, რომ დასცეს და გაანადგურას დაბეჩაყებული უბირი გლეხის კარ-მიდამო. მაგრამ წარმოიდგინეთ, იგი არ დანდაბს ხოლმე არც თავის საკუთარ ოჯახს, ცოლ-შვილს, მშობელთა და მოყვითთა! ერთი სიტყვით, ამ სულთა და ხორცილთა წაწყვეტილს თავის ცხოვრების სასარად და საგნათ გაუხდია სხვისი დახრჩობა, სიკვდილი, გაუპატიურება და წაწყვედა. და, რასაკვირველია, ასეთი თავზე ხელ-აღებულის ხალხისა დიდი შიში და კანკალი აქვთ სოფლელებს. ამ ხალხის წინააღმდეგობას, არა თუ გლეხი, ვერც ერთი ვაჭაკი, ვერც ერთის გონებით და ზნეობით ამაღლებული კაცო, სიყვარულის, სიამართლის და განათლების წარმომადგენელი ინტელიგენტი ვერ გაბედდეს, თუ არა იმთხანითვე თავზე ხელ-აღებული ყაჩაღი. ბნელოც ხომ სამაგიეროს გადახდას მხოლოდ მაშინ უპირებს „ქნაზ“ შაქრას, როდესაც ეს უბედური გლეხის-შვილი თავზე ხელს აიღებს და გაყარაღდება. სხვები კი? სხვები ყურ-მოკრილი მონანი და მოჩიხონი არიან „ქნაზ“ შაქროს ბრძანებისა. აქი, ამიტომაც,

ილიას ცოლს, მარიკოს, სახლის კარები შეუმტერია შაქრომ და მაროს მიშველებაც ჭრავინ გაუღდა. ამ დროს შაქროს ერთი-ღა სიტყვა კმაროდა, რომ ეთქვა:

— „დათივე, რატომ შენთვის არ დადგები! ეხლა შენ ჰკუთავდეს, რომ მაგოდენასა ჰყვირი? კაცმა იცოა ხმა და მაშინვე შებრუნდა შინ“. აგრეთვე სამართლიანის გულის ტკივილით ამბობს: „საბარლო მაროს კვილი ცასა სწედებოდა, მაგრამ მიშველება ვერაინ ვაბედაო...“ რას იტყვით ახლა, ჩემო მკითხველო. შეიძლება კიდევ-ღა ამას იქით წასვლა?..

ფრიალ სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ეს წრე „ჩვენი ქვეყნის რაინდებისა“ საზოგადოებრივს სამართლიანობასა და კანონზე თავისებური შეხედულებისა არის და არავითარს ყურადღებასა და მნიშვნელობას არ აძლევს მას... დღი წვალებითა და ევაგებით შეძენილი რამ და თვით ოჯახი და სიცოცხლეც ჩვენი (გაიხსენეთ უბედური მასწავლებლის სვე-ბედი „ჩვენი ქვეყნის რაინდში“) ამ აუარებელი „რაინდების“ ხელშია. საქართველოს მოზრდილი ქალაქები, დაბა-სოფლები, რკინის გზის სადგურები აპრელდებულია იმათი რიცხვით. ჩვენი „ბენდიერი“ ქვეყანა მოუენილია ამგვარი უსინდისო და თავზე ხელ-აღებული ვაჭატარებით, რომელთაც, წარმოიდგინეთ, ამ უკანასკნელს ჟამს თვად-აზნაურთა ბანკების კრებებზედაც კი საქვეყნოდ სასტეკი ომი გამოუტყდას მატონისკას, სიმონოქესს, სინათლეს და განათლებას... ყოველს ეტყეს გარეშეა და აშკარაც, რომ ეს ვაჭატარები ხეირს არ აყრიან ჩვენს ქვე-

*) იხილეთ „ახელა“ № 85.

ყანასა და ხალხს, ჰელსბერგს და ანადგურებენ, უსაბუნებრობასა და სახელს, რომელსაც დღიანდღიანად წარმოებისა და ვითარების ჭამს სიკვდილი ერისა მოადევს... პირს ნუ არიდებთ და სწორეთ შეხედეთ ამ ვაჟბატონების მსხვერპლთ: ესმას („პირველი ნაბიჯი“), მარკას („ზნელო“), ქრისტინეს (მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა) და მრავალს სხვათა და დამთანხმებით, რომ ამ „ჩინების“ საქციელს ურიცხვი სოფლის მუშაკი, ქალი და კაცი, გაურყენია, გაურისკიანია, გაუყარაღებია, ბევრიც აუყრა და ქალაქებში მაწარწალივად და მოტანტალვად ვადაუტყვევია, ბევრიც მოუკლავს და მოუკლავს საუკუნოდ სულით და ხორციით...

„ყველაზე ხშირი სტუმარი გიგისაი „კინაზი“ შპროს იყო. წელიწადში იმდენჯერ თავის სახლში არ ჰქმდა პურს შპროს, რამდენჯერაც მამასახლისთანა — მოგვიხსრობს ავტორი. ჩემის აზრით, ურიგო არ იქნებოდა, მკითხველს მივმართა თვით ავტორისათვის და წაეკითხა მელანჩას ნაწარმოების მე-113—119 გვ., სადაც დიდი ხელაგნებით და სინამდელით არის დახატული ეგ მამასახლისი.

ფრიდ გულ-საკლავი სურათი წამოგვიყენა წინ ამ მამასახლისის ყოფა-ქცევამა და ცხოვრებამ. უბრალო გლეხს, თავის შესაფერად საკმა ნიქის მექონეს, ვაზრჯელსა და მზენ კაცს, რომელიც ვაკირებულში მოამგეს დაენმარებოდა, მოხელედ აირჩევეს თუ არა, მკირე ხანიც არ ვაივლის, რომ ეგ მოხელე იმ წაშვე წყეტს ყოველ გვარ კავშირსა და ერთობას ხალხთან და ამ ხალხის ორგული და მძარცველი გახდება ხოლმე. ეს ამბავი, როგორც მოგვხსენებთ, ჩვენში საზოგადო მოვლინებამ გადაიქცა. რაც შეეხება თვით გიგისს, გარდა იმისა, რომ ბოლოს დღე-ღამე მამასახლისად აირჩევენ, მანამდისაც არ იყო საფლასის ერთგული და „კაი სულის პატრონი“. „კაცის წლის წინად გიგია მოსულიშვილი ერთ სომეხს მოჯამგირედ ექრა, ტყიდან ვიციებით შემას აზიდინებდა, სომხიდან რო გამოვიდა, ერთ თავადიშვილთან, იმ დროს გაელენინა კაცთან, დადგა მოჯამგირედ-მედლქეთ. მედლქნობამ დიდი საჩუკებლობა მოუტანა გიგისს, გარდა იმისა, რომ ბოლოს დღე-ღამე თავისთვის დინარჩუნა, ძალზე გამოიკვდა ყოველისფერში. თითხმეტის წლის წინად შევიდა მამულზე სოფელ მრალეთში და დაიწყო მეკომური ცხოვრება. შეიღის წლის წინათ გიგია ამოირჩიეს მამასახლისად და მას აქეთ მამასახლისობას არავინ შეიკლავდა. მაშინ, როდესაც მოგვეცა ჩვენ შემთხვევა მამასახლისის გაცნობისა, იგი მესამე ყოვლობაზე იყო ამორჩეული“. მკითხველი სამართლიანის უფლის ტყენით და განცვივრებით იკითხავს: — ერთი რომ,

თუ ეს გიგია ასეთი ნათურის და ოხერი ვინმე იყო წინდაც, ხალხმა რად აირჩია იგი მამასახლისად და, მეორედ, სოფლის ერთგული კაციც რომ აირჩიონ მოხელედ, თქვენი აზრით, უნდა, უქვევლად დავცეს ზნეობით და შეიქნეს სოფლის ორგული და მძარცველი? როგორ? რათა? რა მიზეზით? ავიხსენით.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ უბრალო და მარტივი საკითხის გამოჩვევა მეტის-მეტად რთული საქმეა, საზოგადო მეცნერების ერთს უმთავრესს საგანს შეადგენს და საჭიროა სტატიაში შეუძლებელია სრულიად გაირკვეს ამ საგნის ვითარება. მაგრამ ჩვენ, რაკ აქ სიტყვამ მოიტანა, ვაღვლებული ვართ, სულ მთლად უყურადღებოდ არ დავავლოთ ეს ამბავი და მოკლედ მაინც მოგვრათ პასუხი.

ჩემის აზრით, დრო უყეთესი და პირუთენილი მსაჯულთა ყოველთვის კაცთა მოქმედებისა და, უნდა გამოვთქვათ, რომ მის შემდეგ, რაც სოფლად თვით-მართველობა შემოიღეს, მამასახლისად, მწერლად და სხვა მოხელედ ნათურესა და ბინძურის სულის პატრონს უფრო ირჩეეს ხალხი, ან და უგულოდ ეკიდება ამ გვარი კაცების ამორჩევას. ამ გარემოების მიზეზი, სხვათა შორის, თვით ხალხიც არის, რადგანაც დღეს სოფლებების გონება და ნიუთიერი ცხოვრება ისე დაუცემელი და დაბნეულია, რომ არაერთი კეშმარტი წარმოადგენა გლეხს ალბათ აქვს თავის სასოჯაგაუმრავლ ინტერესებზე. მაშინ, როდესაც კერძო, ვიწრო პირადს შეუჩაქცოვასა და საკუთრების ხელის შეხებას ხშირად და ძალიან ხშირადც მძისაგან მძის მოკვლა და სისხლის ღწრა მოდევს ხოლმე, ჩვენებური გლეხი-კაცი დღეს, ჩვენ და სამუხარად, სრულებით არ ზრუნავს და არც ხელმძღვანელობს, რასაკვირველია, საერთო, საქვეყნო და საზოგადო სარგებლობისა და ინტერესებისათვის. ასარეზი ჩვენებური სოფელის სოციალური ცხოვრებისა დღემდის ვიწროა, საპირადო, რომელიც ევრ გაუძლებს ახალს, ფეხ-ადამუღს ვითარების ქარიშხალს და შეირყევა. ამის ნიშნებს ახლაც ეხედავთ. თუმცა გლეხობა, როგორც წოდება, ბოლო-ყმობის ვაყრას შემდეგ, უკვე მოსოც ცხოვრებამ, მაგრამ იგი სოფლად ჩვენში, საერთოთ რომ ეთქვათ, არ შეცვლილა, ზნითა, ყოფა-ქცევითა და პირადი საქციელით. იგი ასევე უქვევრად სასოჯაგო საზოჯაგო სასაქმებისა და ბუნებით განსწრვტარდა. აი, სწორედ ეს ნიადაგი ხელს უწყობს ყოველს გაიძევრა კაცუნების საქციელს და ცხოვრების რეჟექციას, რომელსაც თან-და-თან ფრთები ეხმება ამ ბოლო დროს... რასაკვირველია, გლეხთა ამ გვარ მდგომარეობასაც თავისი მიზეზი აქვს, რომელიც

უმთავრესად უნდა მოიძებნოს თანამედროვე (საზოგადო-სახელმწიფო პოლიტიკურს სფერაში... და მართლაც ხშირად მომხდარა და მოხდება კიდევ, რომ ზოგჯერ ხალხის სურვილის გარეშე, იმ საზოგადო წეს-წყობილების მეთვლებით, არჩეულა ეინმე გაიძვერა და ხალხის მისარცველი მოხელეთ და გლეხთა მხრძინებლად...

მაგრამ სრულიად ანგლოზი ადამიანიც რომ აიყენათ, აარჩიოთ სოფლის მოხელეთ და ჩაყენოთ იმ გარემოებაში, რომელიც დღეს გარს არტყია ჩვენი სოფლის ხალხის ყოფა-ცხოვრებას, იგი, უეჭველად, დეცემს სულით, გაირყენება ზნეობით და ნამდვილად ავაზაკს და საღვასებულთი თას ვეარ „საკონ-კანონით“ დაუწყებს ხალხს მტრობას, დამონებას და ცარცვას. ამ გარემოების მიზეზიც იგივეა, რაც, ეს-ეს იყო, ზეით აღწინაშეთ. მაგრამ თუ საგანს ღრმად გავსჯით, დავინახათ, რომ იმაზე რთული და უადრესი მიზეზი გახლავთ დღეინდელი პოლიტიურ-ბიუროკრატიული სახელმწიფო წეს-წყობილება, რომლის შემოდან მშარუნელობას სრულიად შეზუთავს სულ-და და გულის თავისუფალი ლტოლვა, თვით მართველობის დედა-აზრი და სოფლის მოხელეთა სამართლიანი საქციელი და მოქმედება, თვით-მართველობის პრინციპის თანახმად, სოფლის მამასახლისი უნდა იყოს თავისუფალი მოსამსახურე და ერთგული თავის საზოგადოებას, რომელიც იმას უნდა ირჩევდეს სრულიად თავისუფლად და ძალ-დაუტანებლად. მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ უარყო სიტყვა: „უნდა იყოს“ და დავიტიკვა, რომ მამასახლისი არის დღეს თავისუფლებას მოკლებული, დამონებული, გულცივი, ყოველად უსინდისო მოხელე, რომელსაც „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხზე ჰკიდია“...

ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ხშირად პატივსაცემი გლეხი, რომელსაც ათასში ერთხელ თუ ათრევერ დღეს სოფლად, ერთდება სოფლის მოხელეთ დედაკმას, გაურბის თვით-მართველობის თანამდებობას. სამაგიეროთ, ამ თანამდებობას ხარბად და ძალიან ხარბადაც ეტარებთან უფრო ხშირად ცხოვრების ქარ-ცეცხლში გამოაწვეარ-გაქვლიქონი, აღმინისტრაციის „კანდიდატები“, ქვეყნის მისარცველნი და ყოველად უსინდისო პირი. ამ გარემოებამ საშინლად დასცა ჩვენი თვით-მართველობის მნიშვნელობა და დაუყარვა ყოველივე აზრი და ღირსებას... და ახლა დიდი სურვილი აქეთ ასეთ ნაირად აწეწილი საქმე თავად-აზნაურთა შორის უმეცარ მოხელეთა აღრჩეით გამოავკარანონა...

მამასახლისის გიკას მეკობარი გახლავთ არტემა აზრუმანოვი, რომელსაც თუ წინად „რეტანასა“

და „დაუტყინეს“ ეძახოდენ, ახლა დიდი მოწინაშეთ მიმართედენ ხოლმე: „ხაზეინო“, ანუ „აღლა“. სიმდიდრესა და ქანებას შემდეგ, ეგ არტემა წრეს-გადასული და გულ-ფიცი შეიქნა, ასე რამ, ეინც ერთს მაღალს სიტყვას შეჰკადრებდა, უშეკვლად, ემებს ზედ შამამტყრევედა. „მხოლოდ მამასახლისის უთმობდა ყველაფერს, ისიც მეკობრობის გულის-თვის და პურ-მარილის პატივისცემით. ძალიან იშეითად მოხდებოდა ხოლმე, რომ უფრთმანეთოდ პური ექვამთ.“ ავტორს ამ სომხის სული და გული, იმისი ეინაობა სხვა მომქმედ-პირთა ნაკლებ არა ჰკავს დახატული; ის კი არა, სომეხი სწორედ ცოცხლად არის მოთხრობაში გამოყვანილი. მაგრამ ავტორს საესებით ეერ აღწინაშეთს და გაურტყევი, თუ როგორ და რა პირობების გაელენას ქვეშ იზრდება და ძალას პოულობს ასეთი ხსათი და ეს-ერთი ეიგინდარა და მაწინაწალა შემდეგ ასეთს დიდს გაელენასა და დამოკიდებულებას ჰპოულობს მთელს ქართველთა ცხოვრებას და საზოგადოებაში. მართალია ავტორი ბევრგან ისეთს ადვილედ წაადგა სომეხს, რომ მკავლად გამოეიხება იმისი ხსათი და შეეხზო კიდევ იმ გარემოებას, თუ როგორ შეიქნა შემდეგში „აღლა“. მაგრამ ეს არის მხოლოდ მკფიოდ, სუსტად და ზოგადი სამხატვრო ნიშნებით ჭამოთქმული. და ჩვერ არ ძალ-გვიძს „აღლა“ არტემა, როგორც ერთი რამე გრძნობა-გონებანი ღრმად ჩაჭრილი სახე, ყოველითის ევასოედეს, მუდამ ეჭრძნობდეთ მის არსებობას ჩვენს შორის, დაგვანაც სრული შეგნებით არა გვაქვს წარმოდგენილი, თუ რისთვის, რა მანქანების ძალით ირინა ჩვენში თაეი ასეთი ხსათის კაცმა და თაეისი ყოფა-ქცევა და ხსათი ღრმად დაკვლო მთელს ამერთა ცხოვრებას... მაგრამ ბელეტრისტს დაქვინებით არც უნდა ეუსაყვედურთოთ ხოლმე, თუ რატომ არ გვიჩვენა მან ეითარების პირობები და ახალი ცხოვრების კანონები მცირედ მანაც არ აღწინა. ეს ჯერ-ჯერობით ძნელია და მოუხერხებელიც. შედანიამ დახატა მხოლოდ ხსათი სომხისა, იმისი ხერხი და უნარი სიმდიდრის შექმნისა. და აი, ამ სიმდიდრის გარემეში სამეგობროდ თაეს იყრის დიდი უფლებით აღტურვილი გაიძვერა მამასახლისი გიგია და დიდი ავტორიტეტისა და ძალის მექონი, უმადატესი წოდების შვილი „ქაიზი“ შაქროც, რომლის ერთი სიტყვა საბრალო დათას, რომელმაც განიხრაზა მარკოს მიშველუბა, სულს აკმენდინებს...

თანამედროვე ცხოვრების ვითარებაც ისეთი თვისებისა შეიქმნა, რომ, უეჭველად ერთი უნდა დაინაგროს უსამართლოდ, მეორემ კი — იპარავოს და ამ დაჩაგრულის ნაოფლორი დაისაკუთროს. ღრმად

თუ ჩაუყვირდებოდა ჩვენ ცხოვრებას შეგნიშნავთ, რომ ამ ქაშად საქართველოს ქალაქებისა და დაბა სოფლების გადამეტებული ნაწილიც წარმოგვიდგენს ისეთს ნიადაგს, სადაც, ერთი მხრით, ცალკე გროვდება ფული, ძალა, უფლება და გავლენაც; მეორეს მხრით, უფულობა, სიღარიბე და სრული უმიწაწყალობა. საკუთრების მოსაყვარულე ქართველთა უმრავლესობა დიდს ეკონომიურს რყევასა და ცვალებადობას შიამ. ის მიწა-წყალი, რომელიც გლეხის გათავისუფლების დროს, დასაკუთრეს, დღეს ოთხსა და ხუთს მონაწილეთა შორის არის გაყოფილი, დაწერილობანებული. ქართველ გლეხსა და ზოგიერთ თავად-აზნაურთ ხელიდან ეცლებოდა მიწა-წყალი, აღარ ჰყოფნის ადგილ-მამული, დიდს ეიჭრობასა, ვაკერებებსა და სიღარიბეში არის ჩავარდნილი (იხ, სტატისტიკური ცნობანი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის შესახებ შეკრებილი). მეორე მხრით, მცირე რიცხვითა შორის გროვდება მიწა-წყალი და სიმდიდრე; ძალა იქით მიდის და უფლებაც. ამ გვარად, საქართველოშიაც ირკვევა ახალი ვითარების პირობანი; ჩვენშიაღც ნივთიერი და პოლიტიკური ცხოვრების ახალს ნიადაგზე თანდათან არსდებოდა სრული უთანასწორობა, ინტერესების განცალკევება და ამ ინტერესთა შორის — ბრძოლა. ჩვენი ლიტერატურას სასახელოდ, ქართულმა ბელეტრისტიკამ უკვე აღნიშნა ამ ახალი ცხოვრების მოახლოების ქამი („პირველი ნაბიჯი“ გ. წერეთლისა, „ბენელო“ მელანისი და „სიმონა“ ევ. ნინოშვილისა). ქანებით მძლეობდა და მივიღარი რომ სუსტსა და ღარიბს ჩავგავს და დევნის უმოწყალოდ ცხოვრების ასპარეზოდან, ამას, გარდა ჩვენი ბელეტრისტიკისა, სხვებაც მოწამობენ. მოწამობენ ისეთები, რომელთა კეთილ-სამიედლო ყოფა-ქცევას ეჭვის თვალთ ეყრავინ, ეგონებ, ვერ შეხედდეს. მაგალითად მ. მუდღელი, თეოფანე კალანდარაშვილი წერს თავის წერილში („მემამულე და გლეხი“, „იერიკი“ № 121, 1894 წ.): „ასობით ეცით ისეთი მაგალითი, მემამულე გაწყობილი გლეხს და ებრძანებინოს: „შენი არც ალა მიწა, არც არაფერი; ჩემს ადგილში არ ჩახვიდე, არც საყანედ, არც საბაღედ, ფეხი არ დააბჯო, გაფროთხილებო“. უკანასკნელს მეტი რა საშველი და რა ხიდი“ აქვს, უნდა „იერიკოს“ საფუძველი, აიყაროს, გადაეხსნოს და ამ წოწილი დაიწყოს აქეთ-იქით უსახლკაროსავით...“

ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ უწყურება მემამულე გლეხს, რომ რაიმე საიდუმლო განზრახული სისძაველე ჩაიდინოს. და, აი, „ქინაზი“ შაქროც, მამასახლისის დახმარებით, საწყალ ობოლს ილიას „იმ-პრების მოპარვას სწამებს და ძნელს „უტოლოფნი“

საქმეს ახვევს თავზე, რომ თავისი სისძაველე ჩაიდინოს, თავი მოკრას ილიას და დალუპოს ერთი „კომლი კაცი“. ილიას დედა, ოქროშულაც „ქინაზი“ შაქროს მეგობართან, გააფხავებულს მამასახლისთან გარბის, რომ დაეხმაროს, უშეამდგომლოს შაქროსთან და იმის შვილს, ილიას „სასუღდეთ საქმე არ გაუხდეს“.

— „შენი პირიმე, მამასახლისო, მიშველე რამე, ლამის არი ი ბიჭი ხელიდან გამომეცალოს... შვიის კაბის კალთით ძლიეს გამოგზარდე. შენ კარვად იცი, შენი პირიმე, რა ოთხი წლის ბაღლი დამჩა იმ უბედურის დახნელებს შემდეგ. ოცდაექვსი წელიწადია მაჯაზე თავი დავდე, ვთქვე, არ გაუციებ მამის კერას-მეთქი; სოფლისთვინაც გამოსადეგი იქნება-მეთქი“ — არც სოფელს დაუტარგე ერთი კომლი კაცი. ეხლა კი, ლამის არი, მე თვალდამდგომს ნაღვლისაგან ხელიდან გამეცალოს. ან რა კარგია, შენი კენესამე, რა სოფელს უსაბუთო საბუთით ერთი კომლი კაცი დეეღუპოს?“

ამ „წუთის სოფლის“ მოთარეშეთა და მისმა „ზაკან-კანონებმა“ აღარ დაინდო ეგ ყოველად გულობართალი დი სინდისის მუებლაღველი სოფლის ბიჭიც ილია და „უსაბუთო საბუთით“ სოფელს დაეკარგა თვით სოფლისთვინე გამოსადეგი წვერია... საკვირველია! ილიას უნდა მოძმეს დაეხმაროს, თავის ნაბატონარსაც ასიამოვნოს და სწორედ ამავე დროს მის განზრახულებას, უბრალო შემთხვევის გამო, მოდევს საშინელი უბედურება და ილიას ცოლ-შვილიანად საუკუნოდ დალუპვა. მამასადამე, ჩანს რომ მოძმეთა დახმარების სურვილი კაცს სოფლად, დღენდელ ქამთა ვითარების წყალობით, საკეთეს არ აუტის, ღუპავს. ვერ ერთი, რომ თვით ცხოვრება იმ გვარად მოწყობილია, რომ სხვის დახმარებას, კეთილმოქმედებასა და მადლს დაცინევა, უმადურობა და ზარალი მოაქვს კაცისათვის. და, მეორედ, თვით კეთილის მყოფელისა და სხვთა დახმარებულისათვისაც არა ქაჩა მარტო სურვილი, რომ სასარგებლო საქმე გააკეთოს. ილიასათვის ისე, რა გარკვეული თვითაული სოფლად მცხოვრებნი პატროსანი მუშაკისათვისაც ფრად საქრობა ცოდნა და შეგნება იმ პირობებისა და გარემოებათა, რომელნიც ქქნინან თვით ჩვენსავე ცხოვრებას და ამ გარემოებათა და გვარად კეთილი სურვილის განზორციელებაც შესაძლებელი იქნება. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ჩვენ სასოებაც დაკარგული გვექნებოდა. ქართველის ხალხს ცნობიერების გაფართოებას, თავი-ყოველდღიური ცხოვრების პარობათა შეგნების ფრად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნის დერის მომავლისათვის. თავის გაწირვა და სამსხვერ-

პლოზე ასეღა ქართველმა კაცმა იცის და ეს დიდი ნუგეშია. მაგრამ კაცმა უნდა იცოდეს, სად მიაქვს ეს მსხვერპლი, რათ ეხმარება სხვას, ვის წირავს თავის თავსა და სიცოცხლეს და რა მიზანი აქვს მისს საქციელს...

რა თქმა უნდა, სხვათა დახმარება, გულკეთილობა, სიყვარული და მოყვასის შებრალება დიდი ზნეობრივი საქციელია, წმინდა და უანგარო სულითა და გულის ნადები მადლია, რომელსაც, შესაძლებელია, მოქალაქობრივი ღვაწლის სახელიც ვუწოდოთ. მაგრამ ეს ღვაწლი ნამდვილს, ქეშმარიტს საზოგადოებრივს ზრსა, მნიშვნელობასა და თანაგრძობასაც მხოლოდ მაშინ მოიხვეკვს, როდესაც

იგი შეუდის ცხოვრებაში სამართლიანობის ცნობიერად განზრდილებას, საზოგადო ინტერესებს შეგნებით ექსპრესა და, ამ ნიშნად, უფროთეს ასპარესს იმ იდეალსაც, რომლის გულწრფელი წარმომადგენელი და მისამსახურე თვით მოღვაწე გამადანა.

სამწუხაროდ, დღეს ქართველი გლეხი მოკლებულია საქმეთა ამ გვირად განსჯასა, შეგნებასა და ცნობიერებასა, მტერს მოყვრისაგან ვერ არჩევს და ჩემის ფიქრით, ილია თვალთშეშობის ცალმხილიანად დაღუპვა და ვადმენება თუმცა, უმთავრესად, სოფლის საზოგადო პირობათა ბრალია; მაგრამ, სხვათა შორის, ილიასივე მოქალაქობრივი ნიჭის განუვითარებლობისა და უსუსურობის შედეგიც გახლავთ...

ქუთათელის სიზმარი

(ისტორიული ოცენა)

I



ული წმინდის მოაფენის ღამეს, სანამ საციხე-სკრა ზარის პირველი წკრიალი ქვეყნად გაისმოდეს, ზეცას ჩამოჰკვირვებ ზარს და მაშინცა, გინდ მოღრუბლოლიც იყოს, ვადიყრის და გუნდ-გუნდი ვარსკვლავები თავს იჩენენ. ისინი არიან, თურმე, ჩვენს ვიბო-მამა-პაპების სულები. იქედებიან იმ ადგილის პირდაპირ, სადაც უკანასკნელად მათი ღვაწლი დაგვირგვინებულა და მალღით ზე სხივებს აუფებენ. სხვათა შორის ერთი დიდებული მშათობი ქუთათისის ძველი ტაძრის ნაშთებსაც ზე ეგვირგვინება და ნათლის კიბით ქვეყნად ჩამოსული ანგელოსთ გუნდი ხმა-ტკბილად დაგალობებს: „მისენ მე მტერთა ჩემთაგან, ღმერთო, და მათგან, რომელნი აუღამილ არიან ჩემზედა, განმარინე მეო“. ის მნათობი არის ვარსკვლავი მთავარ-ეპისკოპოსის, ანტონ ქუთათელისა. ანტონ იყო დიდებული გვარბი მშათობანი, დედის ერთა, იმერეთში საერისთავოდ განძრახული, მაგრამ, როდესაც დედის მისის მოძღვრებთ, დროისა და ვითარების საკადრისად შეისწავლა ქვეყნის სიბრძნე, მაშინ მოინდომა სულითაც განათლება და მიენდო მწიგნობართ-უხუცესს ანტონ ჭყონდიდელს: „შეგა ბერად და მალე ისე გამოიჩინა თავი, რომ ერთხმად აირჩა მთავარ-ეპისკოპოსათ და მიიღო ქუთათლობა...—იმ დროს წმინდა მამებს დიდი გავლენა ქონდათ საეროდ: ქვეყნის გულის მოგებითა და ნდობის მოპოებით. სამოქალაქო საქმეებსაც კი მათი რჩევა-კურთხევით აბოლოებდენ. ანტონ ქუთათელსაც, რასაკვირველია, როგორც მათში ყოველ-

ფრად პირველს, ისე ვატაცებული ჰყავდა სრულიად იმერეთი, რომ დიდებული, ზეიადი და შეუთავარი გიორგი მეფე იძულებული იყო პატივი ეცა მისთვის, თუმცა მიქელა ქათალიკოსი კი სხვებს ასმენდა და აგონებდა მსზე. საერო საქმეებით გარემოცულს ქუთათელს, საზოგადოდ დრო აღარ რჩებოდა, რომ თავი შეეცვენებია და მხოლოდ ხანდახან, ღამ-ღამებით შედიოდა იქვე ტაძრის მახლობლად, სამღვდელ-მთავრო სახლის წინ გაშენებულ პატარა წალოკტში და ეძღვოდა მადლ ოცნებას. იმ ხანებში მოუხვენარის მიქელ ქათალიკოსის შურისძიებით ვადაყენეს ჭყონდიდელი, ჩამოხადეს მწიგნობართ უხუცესობა და ვაგზუნეს გარეჯის უდაბნოში. თვით ანტონ ბრძენმა გულ-გრილად იტყირთა ეს ახალი ხედვრი, მაგრამ ქუთათელი კი ააღვლეა მისის მოძღვრის უსამართლოდ გაუპატიურებამი!.. დღიისით საქმეებს აყოლებდა გულის, მაგრამ ღამით კი ვატყდა ძილი, შევიდა წალოკტში და იქ ფიქრობდა, როგორი ეპისტოლე ვაგზუნა მეფის გიორგის დის, რუსულდინსათვის ჭყონდიდლის თაბაზზე?—ფიქრებმა გაიტაცეს: ვახსენდა უზრუნველი სიყმაწვილე, როდესაც საღამობით დედის კალთაში ევდა თავი; დედაც თავზე უსომდა ხელს, კოცნიდა და ზღაპრებს ეუბნებოდა!.. აუოიგნა ის ზღაპარიც, თუ როგორ ვაჩნდენ ქვეყნად ვარდი და ეკალი, რომელსაც დედა ათქმევირებდა ხოლმე პატარა ანტონს. იგი ჩამოჯდა ქვაზე მუხის ძრწში, მიეყრდნო ხეს, წარმოიდგინა, რომ, ვითომც, ახლა ის დრო და მოყვა ზღაპარს თავის გუნებაში: „იყო და არა იყო რა. ორი ძმა კაცი იყო: „ერთგულა“ და „ორგულა“, პირველი ქვეყნის სამსახურსა და ერთგულებაში ვალბრბებული და მეორე კი ორგულობით ვამდიდრებულთ. უმეტესობის ქუთათელშია და რაც შიგ არა ეჩინ-

რება, იმს ვერ ხედავს!.. „ორგულას“ ზოგი სიბრძნეით, ზოგი შიშით და ხათრით, ზოგი ანგარიშით, პატრისტეცემნ და ხელს აფარებენ, „ერთგულა“ კი ყოველგან და ყველასავე თანამართლოდ იხავებოდა. ასე ლღვედნ ეს ძმები თავისი დღეს და სიკვდილს. მხოლოდ ეს კი იყო, რომ „ორგულა“, რაც უფრო და უფრო მეტად ძლიერდებოდა, უფრო და უფრო შუთავდა და მისმა გაუმადლარმა გულმა არ იცოდა მოსვენება. „ერთგულა“ კი თავისთვის იყო გულუბნობად, წყნარად და თავისთავად მოსვენებით. ერთად დაიხილენ ორივე. „ორგულა“ იკლავდა ხალხსა, დიდი პატივით დასაფლავდა და მარმარილოს ფიქალი დაადგა ლოდად. „ერთგულას“ სიკვდილი კი ბერს არ შეუტყვიან!.. არცარავის უგლოვია: არღეს, ჩაავდეს საფლავში და მიაყარეს მიწა სანადლოდ. მეორე დღეს გაიარეს მწყემსებმა და ნახეს, იმ ახალ საფლავიდან უხეზ ბუჩქი ამოსულა, რომელსაც შეენიერი ყვავილა გამოუღია და ზედ ბუღბუღი და ქიქიკოდა. ის ბუჩქი იყო გვამი „ერთგულასი“, ყვავილები მისი ქველი საქმეები და იმ ყვავილებს ფერს აძლევდა შიგ გამჯდარი, ქვეყნის საერთგულად დაინებული სისხლი და ოფლი, მისი ანგელოზიც ბუღბუღად შემოსხნდომოდა და უფალობდა მის სულს. ნახეს, გაუკვირდათ, თქვეს: ეს რა შეენიერება რამ ამოვარდნილა საფლავიდან ასე უცურად! თქვეს და დაარქვეს იმ ბუჩქს „ეარდი“. იმ ხანებშივე ზოგაერთობა შენიშნეს, რომ „ორგულას“ საფლავზედაც რაღაც მყრალი ბალახები ამოსულა და მწარედ იჩხელიტებოდა, ლოდს ქვეშ დაუბუღებია ბაყაყებს და საზარელი ხმით ყიყინებენ.—ის ბალახი იყო „ორგულას“ გვამი, მყრალი სუნი—მისი ქვეწიორი ღვაწლი და ბაყაყი—ემშაკი. ნახეს და გაუკვირდნ! თქვეს: ეს რა საშინლად იჩხელიტებოდა! თითქმის კაცსა ვსვლავენო! თქვეს და დაარქვეს: „ეკალი“.—ამ ზღაპრების მოგონებაში, ძილი მოეწრია მთავარ-ეპისკოპოსს და ნახა საკვირველი სიხმაბრძნეობა: „ქუთათისის ტაძარს ირგველიე ცეცხლი შემოდებოდა, ცამდის უწევს მისი ალი, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მხოლოდ ანათება და არასა წვავს!..

საუბრის თვიდან გადმომდგარა მეფე ბაგრატ-დიდი და ანიშნებს ქუთათელს, რომ ისიც იქ ავიდეს მასთან. მღვდელ-მთავარი ეთანხმება, მიღის, თამამად აპობს ვიდ და აღის ისტყადრის თეზე. იქიდან ბაგრატ გოდანავედებს აღმოსავლეთისაკენ და დანახევებს, რომ გელათის ტაძარიც იმ გვერთვე განათებულია. ამ ორ ტაძარს შუა ნათლის გზა არს გაყვანილი და ბაგრატს იმ გზით მიჰყავს გელათს მთავარ-ეპისკოპოსს.—ამ ჰაეროვან გზაზე გაბედული ადამიანებს ორივე და გადაღიან გელათს. იქ დაუბედობათ მეფე დავით აღმაშენებელი და უხერხებს მათ საკვირველ სანახავს: დგას დადებული კუმბა და იმ კუმბო-

დან უცურად ერთი რაღაც უცხო ფრინველი, მტერლის სიმშრდის მექანი, გველის სიბრძნის და შევარდნის ქვევგების ერთს შეინავარდებს ჰაერში და მერე გაექანება კავკასიის ქედისაკენ, სადაც მოჯაქველ ამირანს ყვე-ყორანი ახვევია!.. გაუქროლ-გამოუქროლებს იმ გუნდს, სრულიად გაჟანტებს და გამობრუნდება ისევ... კუმბა გაქრება; მის ნაცულად დგას ოქროს ტახტი და ზედ მზეთ-უნახავად გადქვეული ფრინველი დაჯდება. ერთი მხრით ბაგრატ ამოუღვება და მეორე მხრით—დავით. გადცემენ სამეფო გვირგვინს ქუთათელს და ეტყვიან, რომ ის გვირგვინი იმ მზეთ-უნახავს დააღვას თავზე! ქუთათელი ასრულებს მათ სურვილს, მერე მოიყრის მუხლს იმ ღვინავის წინ და უწდა, რამ თანყვანი სცეს? ამ დროს თავს დაჭურავს ძირს და გამოუღვიძება. ამ უცაური სიზრმით გაკვირებულ მღვდელ-მთავარს მთელი ღამე აღარ დაძინებია: ლოკით გააუტარა და მეორე დღეს მიაშურა ქალაქისაკენ, რომ იქ ენახა თავისი მოძღვარი ნაჰკორინდელი ანტონ და მისთვის ეთქვა ის სიხმაბრძნეობა. გზაში შეიტყო გიორგი მეფის გადაცვალება!..

(შეგრავა იქნება)

შეძლოვის მასწავლებელი ლექსი „გემის დაღუპვა“ (კვალი) № 35) შექმნილი უმთავრესი შემოქმედებით:

გვერდი 10,	სეტეტი პირველი:	უნდა იყოს:
დაუქვილია:	თავისუფლება	თავის მართლება
გამოუცვალად	სეტეტი მეორე:	გამოუცვალათ.
მსწრაფული	გვერდი 11:	მსწრაფულე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

დაფუძვენი საზოგადოება

ი ა კ ც ლ რ ი (ლუხა)

უმაღლესად დამრკვირებული 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2.500,000 მანეთი აქვს, გარდა უსლადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მიიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებით სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის როცა შრომა აღარ შეძლებათ.

მიიღეთ ყოველწლიური მოძრაობისა და უძარების ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსალების საქონლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წესილობითი და სტატეგირი მოლაპარაკება განეზარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგებანაში, რომელიც დადენილია კავკასიის მხრისთვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალიგრაფის სახლში, თუ არა თვით საზოგადოების ავერტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დაველიამინოვის ქუჩაზე № 2.